

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2019 წლის 18 თებერვალი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №58 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge; 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.138.016372) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე

თავი I

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0.0	21 761.0	7 425.1	14 335.9	19 892.6	4 102.6	15 790.0
გადასახადები	0.0	6 815.7	0.0	6 815.7	14 038.8	0.0	14 038.8
გრანტები	0.0	13 256.1	7 425.1	5 831.0	4 372.6	4 102.6	270.0
სხვა შემოსავლები	0.0	1689.2	0.0	1 689.2	1 481.2	0.0	1 481.2
ხარჯები	0.0	10 314.6	6.1	10 308.5	13 094.5	1 311.0	11 783.5
შრომის ანაზღაურება	0.0	1 863.8	0.0	1 863.8	2 119.6	0.0	2 119.6



საქონელი და მომსახურება	0.0	3 107.9	0.0	3 107.9	3 527.2	0.0	3 527.2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	113.0	0.0	113.0	65.5	0.0	65.5
სუბსიდიები	0.0	4 007.8	0.0	4 007.8	4 356.8	0.0	4 356.8
გრანტები	0.0	45.0	0.0	45.0	175.0	0.0	175.0
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	745.9	0.0	745.9	722.9	0.0	722.9
სხვა ხარჯები	0.0	431.3	6.1	425.2	2 127.5	1 311.0	896.5
საოპერაციო სალდო	0.0	11 446.5	7 419.0	4 027.4	6 848.1	2 791.6	4 056.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0.0	9 705.0	5 867.2	3 837.8	10 877.3	5 109.8	5 767.4
ზრდა	0.0	9 863.3	5 867.2	3 996.1	10 987.3	5 109.8	5 877.4
კლება	0.0	158.3	0.0	158.3	110.0	0.0	110.0
მთლიანი სალდო	0.0	1 741.5	1 551.8	189.6	-4 079.2	-2 318.2	-1 760.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	0.0	1 661.2	1 551.8	109.3	-4 079.2	-2 318.2	-1 760.9
ზრდა	0.0	1 661.2	1 551.8	109.3	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1 661.2	1 551.8	109.3	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული							



დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	4 079.2	2 318.2	1 760.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	4 079.2	2 318.2	1 760.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	80.3	0.0	80.3	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
		მათ შორის	მათ შორის



დასახელება	სულ		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები		
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	0.0	21 919.37	425.1	14 494.2	20 002.6	4 102.6	15 900.0
შემოსავლები	0.0	21 761.07	425.1	14 335.9	19 892.6	4 102.6	15 790.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	158.3	0.0	158.3	110.0	0.0	110.0
გადასახდელები	0.0	20 258.25	873.3	14 384.9	24 081.7	6 420.8	17 660.9
ხარჯები	0.0	10 394.96	.1	10 388.8	13 094.5	1 311.0	11 783.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	9 863.3	5 867.2	3 996.1	10 987.35	109.8	5 877.4
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	-4 079.2	-2 318.2	-1 760.9

მუხლი 3. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	0.0	21 919.3	7 425.1	14 494.2	20 002.6	4 102.6	15 900.0
შემოსავლები	0.0	21 761.0	7 425.1	14 335.9	19 892.6	4 102.6	15 790.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	158.3	0.0	158.3	110.0	0.0	110.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	4 079.2	2 318.2	1 760.9

მუხლი 4. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები თანდართული რედაქციით

2017 წლის	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
-----------	-----------------	-----------------



დასახელება	ფაქტი		მათ შორის		მათ შორის		
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	0.0	6 815.7	0.0	6 815.7	14 038.8	0.0	14 038.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	8 638.8	0.0	8 638.8
საშემოსავლო გადასახადი	0.0	1 153.5	0.0	1 153.5	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	0.0	5 662.3	0.0	5 662.3	5 400.0	0.0	5 400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	5 183.9	0.0	5 183.9	5 193.0	0.0	5 193.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	7.1	0.0	7.1	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	52.1	0.0	52.1	1.0	0.0	1.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	1.8	0.0	1.8	1.0	0.0	1.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	0.0	50.3	0.0	50.3	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.0	62.5	0.0	62.5	38.0	0.0	38.0
ფიზიკური პირებიდან	0.0	51.1	0.0	51.1	34.0	0.0	34.0
იურიდიული პირებიდან	0.0	11.4	0.0	11.4	4.0	0.0	4.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.0	356.6	0.0	356.6	168.0	0.0	168.0
ფიზიკური პირებიდან	0.0	47.8	0.0	47.8	8.0	0.0	8.0
იურიდიული პირებიდან	0.0	308.8	0.0	308.8	160.0	0.0	160.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები თანდართული რედაქციით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
		მათ შორის	მათ შორის



დასახელება	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
			საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	0.0	13 256.1	7 425.1	5 831.0	4 372.6	4 102.6	270.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	13 256.1	7 425.1	5 831.0	4 372.6	4 102.6	270.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	0.0	5 831.0	0.0	5 831.0	270.0	0.0	270.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	5 561.0	0.0	5 561.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0.0	270.0	0.0	270.0	270.0	0.0	270.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0.0	7 425.1	7 425.1	0.0	4 102.6	4 102.6	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.0	6 665.1	6 665.1	0.0	3 490.6	3 490.6	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	760.0	760.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	612.0	612.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	



სხვა შემოსავლები	0.0	1 689.2	0.0	1 689.2	1 481.2	0.0	1 481.2
შემოსავლები საკუთრებიდან	0.0	677.1	0.0	677.1	576.2	0.0	576.2
პროცენტები	0.0	361.8	0.0	361.8	325.0	0.0	325.0
რენტა	0.0	315.4	0.0	315.4	251.2	0.0	251.2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	0.0	274.5	0.0	274.5	221.2	0.0	221.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.0	40.9	0.0	40.9	30.0	0.0	30.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0.0	406.9	0.0	406.9	405.0	0.0	405.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	0.0	377.3	0.0	377.3	375.0	0.0	375.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.0	24.6	0.0	24.6	25.0	0.0	25.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	161.0	0.0	161.0	160.0	0.0	160.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0.0	191.4	0.0	191.4	190.0	0.0	190.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	29.6	0.0	29.6	30.0	0.0	30.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	29.6	0.0	29.6	30.0	0.0	30.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	0.0	393.2	0.0	393.2	450.0	0.0	450.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	211.9	0.0	211.9	50.0	0.0	50.0



მუხლი 7. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	0.0	10 394.9	6.1	10 388.8	13 094.5	1 311.0	11 783.5	
შრომის ანაზღაურება	0.0	1 863.8	0.0	1 863.8	2 119.6	0.0	2 119.6	
საქონელი და მომსახურება	0.0	3 107.9	0.0	3 107.9	3 527.2	0.0	3 527.2	
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
პროცენტი	0.0	113.0	0.0	113.0	65.5	0.0	65.5	
სუბსიდიები	0.0	4 007.8	0.0	4 007.8	4 356.8	0.0	4 356.8	
გრანტები	0.0	45.0	0.0	45.0	175.0	0.0	175.0	
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	745.9	0.0	745.9	722.9	0.0	722.9	
სხვა ხარჯები	0.0	431.2	6.1	425.1	2 127.5	1 311.0	816.5	

მუხლი 8. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	0.0	65.6	0.0	65.6	218.1	0.0	218.1	



02 00	თავდაცვა და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	9 440.3	5 720.5	3 719.8	9 664.8	5 079.6	4 585.2
04 00	განათლება	0.0	176.2	144.5	31.7	610.0	0.0	610.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.0	176.1	2.2	173.9	433.2	30.3	402.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	5.1	0.0	5.1	61.2	0.0	61.2
	სულ ჯამი	0.0	9 863.3	5 867.2	3 996.1	10 987.3	5 109.9	5 877.4

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	158.3	110.0
ძირითადი აქტივები	0.0	24.4	10.0
არაწარმოებული აქტივები (მიწა)	0.0	133.9	100.0

მუხლი 9. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	0.0	3 029.5	0.0	3 029.5	3 508.2	0.0	3 508.2



	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის							
7011	უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0.0	3 029.5	0.0	3 029.5	3 508.2	0.0	3 508.2
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0.0	3 029.5	0.0	3 029.5	3 409.9	0.0	3 409.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	98.3	0.0	98.3
702	თავდაცვა	0.0	79.4	0.0	79.4	100.5	0.0	100.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	0.0	9 401.8	5 224.8	4 177.0	10 566.0	5 558.0	5 008.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	232.9	0.0	232.9	240.0	0.0	240.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	232.9	0.0	232.9	240.0	0.0	240.0
7045	ტრანსპორტი	0.0	7 997.1	5 136.2	2 860.9	6 286.5	3 633.3	2 653.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	0.0	7 997.1	5 136.2	2 860.9	6 286.5	3 633.3	2 653.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	1 171.7	88.6	1 083.1	4 039.5	1 924.7	2 114.8
705	გარემოს დაცვა	0.0	1 152.3	0.0	1 152.3	1 230.0	0.0	1 230.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	1 152.3	0.0	1 152.3	1 230.0	0.0	1 230.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0.0	1 259.9	501.7	758.2	1 972.6	832.6	1 140.0
7063	წყალმომარაგება	0.0	562.9	281.3	281.6	1107.0	667.0	440.0
7064	გარე განათება	0.0	488.1	11.5	476.6	680.0	0.0	680.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	155.2	0.0	155.2	244.9	0.0	244.9
7074	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	155.2	0.0	155.2	244.9	0.0	244.9
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0.0	1 523.0	2.2	1 520.8	2 045.9	30.3	2 015.6
	მომსახურება							



7082	კულტურის სფეროში	0.0	1 209.1	0.0	1 209.1	1 415.6	0.0	1 415.6
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა და კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	314.0	2.2	311.8	630.3	30.3	600.0
709	განათლება	0.0	2 831.3	144.5	2 686.8	3 510.0	0.0	3 510.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	0.0	2 738.6	144.5	2 594.1	3 275.0	0.0	3 275.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	92.7	0.0	92.7	235.8	0.0	235.8
710	სოციალური დაცვა	0.0	825.8	0.0	825.8	903.0	0.0	903.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	499.5	0.0	499.5	508.2	0.0	508.2
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	439.3	0.0	439.3	419.0	0.0	419.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	60.1	0.0	60.1	89.2	0.0	89.2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	2.9	0.0	2.9	5.0	0.0	5.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	69.7	0.0	69.7	75.4	0.0	75.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0.0	253.7	0.0	253.7	314.4	0.0	314.4
	სულ	0.0	20 258.25	873.3	14 384.9	24 081.7	6 420.8	17 660.9

მუხლი 10. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ახალციხის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -4 079.2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 4 079.2 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 4 079.2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 270.0 ათასი ლარი, მიიძარათოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 172.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 94.5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

პრიორიტეტი 1. ეფექტური მმართველობა.

პრიორიტეტის ბიუჯეტი 2019 წლისთვის განისაზღვრა 3 508.2 ათასი ლარით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ეფექტური მმართველობა ითვალისწინებს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეუფერხებელი და გამართული საქმიანობის უზრუნველყოფას.

პროგრამა 1: მმართველობა-ადმინისტრირება (საბიუჯეტო კოდი 01 00)

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური, თანამედროვე სისტემის დანერგვა, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. მმართველი ორგანოების სერტიფიცირებული, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება;

საფინანსო სისტემაში მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ეფექტური ინტეგრირება და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

მერიის სისტემაში მოქნილი და ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამა 2. ახალციხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი (საბიუჯეტო კოდი 01 03)



პროგრამის აღწერა: ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში კატასტროფისა და სტიქიური მოვლენების შემთხვევაში სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება. გასწიოს ხარჯები, როდესაც საფრთხე ემუქრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონით დაცულ სხვა სიკეთეს, აგრეთვე აღადგინოს დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

პროგრამის მიზანი: ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერა კანონის შესაბამისად.

პრიორიტეტი 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავება და გარემოს დაცვა 13 768,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამა 1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული გზების მოწესრიგება, ორმოების ამოვსება, გზის ახალი მონაკვეთების მოწყობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა და ახლის მოწყობა, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; თოვლცვენის დროს გზების გაწმენდისა და ტექნიკური მარლის მოყრის სამუშაოების ორგანიზება, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები.

პროგრამის მიზანი: 40.5 კმ რეაბილიტირებული სამანქანო გზა ორმოების გარეშე, პანდუსების და გადასასვლელების მოწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების და საბავშვო ეტლებით მოძრავი დედების უსაფრთხო გადაადგილება. რეაბილიტირებულ გზებზე გაუმართავი საავტომობილო გზის მიზეზით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება, 45 კმ გაწმენდილი სანიაღვრე არხი.

მოსალოდნელი შედეგი:

ბავშვების და საბავშვო ეტლებით მოძრავი დედების უსაფრთხო გადაადგილება,

ქალაქში მაქსიმალურად დაცული სანიტარიული წესები და შედეგად ეპიდემიური დაავადებების გავრცელების ლიკვიდაცია.

სუფთა ქუჩები და პარკები, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას, ბავშვებს, დედებს და მომავალ დედებს იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელი მომავალი თაობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა.

გაწმენდილი არხის სიგრძე.

აღდგენილი ტროტუარების სიგრძე.

გატანილი ნარჩენების რაოდენობა.

დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.

პროგრამა 2. კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება 3 442,6 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი ქალაქებისა და სოფლების განათების ქსელის, სასმელი წყლისა და სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.



პროგრამის მიზანი: ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა, რათა ამაღლდეს ბავშვებისა და ქალების უსაფრთხო გადაადგილება, მოვლა-შენახვა – ნათურების ჩანაცვლება ენერგოეფექტური ნათურებით, სასმელი წყლის ახალი მაგისტრალების მოწყობა, რეზერვუარების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია, მოსახლეობისათვის სუფთა, ხარისხიანი წყლის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაქსიმალურად გასარწყავიანება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განათებული ქუჩების სიგრძე.

სასმელი წყლით უზრუნველყოფილი დასახლებული პუნქტების რაოდენობა,

რეაბილიტირებული სარწყავი არხების სიგრძე.

სასმელი წყლის ხარისხი.

გასარწყავიანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი.

პროგრამა 3. კეთილმოწყობის ღონისძიებები 3 127.5 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალ ქალაქებსა და სოფლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და ლიფტების რესტავრაცია, პარკებისა და სკვერების მშენებლობა - რეაბილიტაცია, სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა - რეაბილიტაცია, სახლების და სახურავების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურის მოწყობა, .

პროგრამის მიზანი: პარკებისა და სკვერების მოწყობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არსებული სკვერების რეაბილიტაცია, ძველი სპორტული მოედნების შეკეთება, გოგონებისა და ბიჭებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზის გახსნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა, სასაფლაოების ადგილმდებარეობის დაკვალვა, ფართის თანაბარ ნაწილებად განაწილება, ტერიტორიების შემოღობვა და სველი წერტილების მოწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა,

განახლებული პარკების და სკვერების ფართობი,

ახალგახსნილი სპორტული დარბაზების რაოდენობა,

ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი მოზარდების რაოდენობა.

პრიორიტეტი 3. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 100.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

პროგრამა 3. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა 100.5 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა: სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მუშაობის ორგანიზება. წვევამდელი ასაკის ჭაბუკთა პიველადი სამხედრო აღრიცხვა და სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება.

პროგრამის მიზანი: სასწავლო დაწესებულებების და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო



ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებთან და მათთან გათანაბრებულ პირებთან მუშაობის ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგი:

აქტიური ახალგაზრდები, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სოლიდარული საზოგადოების ფორმირებისათვის.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

წვევამდელი ახალგაზრდების რაოდენობა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

პრიორიტეტი 4. განათლება 3 290.0 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 04 00)

პროგრამა 1. სკოლამდელი აღზრდა და განათლება (საბიუჯეტო კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა: ახალციხის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობების აღზრდაში დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მიახლოებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას.

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება, სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა, სკოლამდელი აღსაზრდელების ფიზიკური ჯანმრთელობა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დახვეწა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელსაც უზრუნველყოფს ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, აღსაზრდელთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სააღმზრდელო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება. ყურადღება გამახვილდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთათვის საჭირო აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციაზე, ისე როგორც ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე. მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის ასაკიდანვე მათთვის ქართული ენის შესწავლა.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო.

ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება.

ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორი : ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა; აღსაზრდელების სკოლისთვის მომზადების მაღალი დონე.

პროგრამა 2. ახალციხის მერიის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს (საბიუჯეტო კოდი 04 02)

პროგრამის აღწერა: წარმატებულ სტუდენტებზე ფულადი საჩუქრების გაცემა და შესაბამისი სერტიფიკატების გადაცემა.

პროგრამის მიზანი: ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგონების და ვაჟების თანაბრად წახალისება



სასწავლო პროგრამების უკეთ ათვისების და გააზრების მიზნით.

მოსალოდნელი შედეგი: პროფესიული და ზრდასრულთა განათლების საშუალებით მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ღირსეულ დასაქმებას.

შეფასების ინდიკატორი: პროგრამაში ჩართული ორგანიზაციები, განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები.

პრიორიტეტი 5. კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 2 268.6 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, გაგრძელდება კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა; კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; სამცხე-ჯავახეთის კუთხის დამახასიათებელი მნიშვნელობის მუზეუმის, თეატრების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; შემუშავდება და განხორციელდება მუნიციპალური ბიბლიოთეკების, თეატრებისა და სახელოვნებო სკოლების მოდერნიზაციისა და მართვის სისტემის რეფორმირების კონცეფცია; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენტთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას.

პროგრამის აღწერა: კულტურული, სპორტული ობიექტების გამართული და სრულფასოვანი ფუნქციონირება სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. მოსწავლეს, ახალგაზრდას, რომელიც ჩაბმულია კულტურულ ცხოვრებაში, აქვს კარგი მაჩვენებელი როგორც სკოლაში, ასევე განათლების შემდგომ ეტაპზეც (უმალეს სასწავლებელში). ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩაბმით ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს გემოვნება. კულტურული და სპორტული ობიექტების სრულფასოვანი ფუნქციონირება, განსაკუთრებით სოფლად, გაცილებით მეტი ეფექტის მომტანია, რადგან ახალგაზრდა ადგილზე ახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. აქედან გამომდინარე, ნაკლებია ახალგაზრდების მიგრაცია სოფლიდან ქალაქში. სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრეები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი, გამართული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და სპორტის ისეთი სახეობების განვითარება, რომლებშიც თანაზრად იქნებიან ჩართული გოგონები და ვაჟები, ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროგრამის მიზანი: ახალციხის მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებისათვის ხელმისაწვდომი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ხელმისაწვდომობის ზრდა, ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;

სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენტთა წარმატებული გამოსვლა;

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა;

მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე;



თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

პროგრამა 1. ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა – 1 777.9 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 05 01)

პროგრამის აღწერა: აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ახალციხის, ვალის და აწყურის სამუსიკო სკოლების და ახალციხის სამხატვრო სკოლის განვითარებასა და პოპულარიზაციას, რაბათის ციხის კომპლექსის, როგორც ისტორიული კომპლექსური ძეგლის, დაცვას, პოპულარიზაციასა და განვითარებას, ბუკლეტებისა და ტურისტული ცნობარების მომზადებას, პერიოდულად ფესტივალების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას.

პროგრამის მიზანი: გაერთიანების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქართული კულტურის ტრადიციების, ეროვნული ფასეულობების დაცვა და განვითარება, ხელოვნების სფეროში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის მომავალი პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სტიმულირება, ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია. ტრადიციული ფოლკლორის დარგების განვითარება და პოპულარიზაცია, ახალგაზრდების მოზიდვა და ჩართვა წრე-სტუდიებსა და კულტურულ ღონისძიებებში. რაბათის ციხეზე ვიზიტორთა რიცხოვნობის ზრდა, ტურისტებისთვის მომსახურების სერვისის გაუმჯობესება და შესაბამისად, ტურისტული ინდუსტრიის განვითარება.

მოსალოდნელი შედეგი:

საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;

საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვნების ჩართულობა და მონაწილეობა;

განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:

განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესი, ღონისძიებებზე დამსწრეთა, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები;

ფესტივალებში, კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა.

პროგრამა 2. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა – 220.8 ათასი ლარი (05 02)

